



ზვიად რატიანი

ნეგატივი. 2009-1996

ზვიად რატიანი

ნეპატივი. 2009-1996

გარეკანზე: რიჩარდ დიბენკორნის „დანა და ქიქა“

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2018

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-558-5

[www.diogene.ge](http://www.dioгене.ge)

შინაარსი

ბოლოსწინა ლექსები / 2009

...ბოლოს და ბოლოს მეც ვისწავლი კარგად ყოფნას.....	9
...თუკი ამბავი, რომელიც მოხდა.....	10
...დროა, დავისაჯო მეც.....	11
...არც ზღვა ღელავს, არც ნაპირი.....	13
...შენ იწევი საძინებლის კარისკენ ზურგით.....	14
...ვინ მოთვლის, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში.....	15
...ფული, პოეზია... მაგრამ არსებობენ ქვეყნად.....	17
...ჩვენ აქ ვწვალობდეთ, ვბერდებოდეთ.....	18
...აი ისინიც, ცუდი დღეები.....	21
...რაც არ უნდა მოხუცი იყო.....	22
...ეს არ იყო კარგი აზრი.....	23
...ახლა რომშიც წამიყვანე.....	24
...საკმარისია! დაუბრუნდით თქვენ-თქვენს საფლავებს.....	27
...მიყრუებულ მთის სოფელში სიცოცხლის ნიშნები.....	29
...ეს ქალაქი რომ მომბაზრონ.....	30
...ახლა კი დაგვსჯიან.....	31
...მადლობა დღეებს, რომლებიც არ მახსოვს.....	32
...აქედან ფეხით.....	33
...არავითარი ნიჭი წინათგრძნობის.....	34
...ყოველდღე, დღეში რამდენჯერმე.....	35
...ფოთლები ის-ის იყო იწყებდნენ ცვენას.....	36
...აი, შენ ისევ ლამაზი ხარ.....	37
...ძილი ისევ შევიბრუნე, მაგრამ არ შევლის.....	38
...არ მოგატყუებ, იყო ბავშვობაც.....	39
...აქ კარგია. მე ვწევარ წყალზე.....	40

ღია და ფარული მიძღვნები / 2008

დაგვიანებული პასუხი მეგობარს.....	45
წელიწადის დროები.....	48
ცრემლით და ღიმილით.....	52
ნეგატივი. ოცი წლის შემდეგ.....	56
სიტყვები.....	59

გზები და დღეები / 2005

I	
ცხოვრება ქვებში	63
მცირე ელგია მამისათვის	64
სხვა ნაპირი. ფრაგმენტი	65
შრომალამე. განმარტებითი ელგია	66
ადამიანი ფანჯარასთან, გარეთ შემოდგომა	69
EX VOTO	71
გარეთ გახედვა	72
ჩემი სიყვარული	74
შეხორცებამდე	75
თოვლი, თოვლი. ცხოვრება მშვენიერია	82
II	
წერილი საიდუმლო დედას	84
გზები და დღეები	93
ავტოსაგზაო ელგია	102
III	
რეკვიემი ცოცხლებისათვის	108
ადამიანები ქვემოთ	115
რაც წავიდა	119

ჯიზის ჰაერი / 2000

...სად დნება თოვლი ყველაზე გვიან	123
მეგობარი ფანჯარა	124
ჯიზის ჰაერი	125
ზამთრის ანკეტა	127
ფარდაგი	129
...ჩვენ ხომ აქ ვმდგარვართ	130
მეგობარს, ცხრა წლის შემდეგ	132
მარტოსახლი	134
...მეცხრე სართულის აივნიდან ყოველდღე გხედავდე შენ	135
მამები	136
დაკარგული ქალაქი	141
...რომელ იდიოტს მოაფიქრდა	142
...წვიმს. სოფლის გზაზე მიაბიჯებს პატარა ბიჭი	143
წერილი	145
პარსვა	147
ზამთრის სიმღერა	148
...ორი სიჩუმე ერთ ოთახში	151
მოძრავი სამიზნე	152

გოლოსინა ლექსები / 2009



ბოლოს და ბოლოს მეც ვისწავლი კარგად ყოფნას
და იმის გარდა, რასაც მხედავ, არაფერი ვიქნები მეტი,
ანდა ისიც ძლივს ვიქნები, რასაც მხედავ.

მეც ვისწავლი სხვებზე წერას
და საკუთარ თავზე ლაპარაკს;
საკუთარ თავზეც, როგორც სხვებზე, ისე ლაპარაკს.
ასე მივუზღავ პოეზიას.

ის არ იყო ცუდი ღმერთი.
ღალატის გარდა, სხვას არაფერს ითხოვდა ჩემგან
და არაფერი დაუშლია, გარდა წერისა.

მე ვერ ვივარგე. ლექსებშიც კი არასოდეს გამომდიოდა
სისულელით შემენიღბა ჩემი სილაჩრე.

არც ახლა მყოფნის სითამამე ბოლო ლექსისთვის
და ისღა მრჩება, მეც ვისწავლო კარგად ყოფნა –
ბოლოსნინა ლექსებს დავჯერდე

და რამდენჯერაც გონივრული ცხოვრებისკენ მომიწოდებენ
ან პირიქით, ახალ ლექსებს მომკითხავენ, მოვიხსნი სახეს
და ყველას ვუჩვენებ ჩემს ნამდვილ ნიღაბს.



თუკი ამბავი, რომელიც მოხდა,
მხოლოდ მაშინ გახსენდება,
როცა ჩაივლი იმ ადგილთან, სადაც ეს მოხდა,
საკითხავია, რომელ თქვენგანს ახსენდება –
შენ თუ ადგილს?

და თუკი ადგილს,
საკითხავია, მუდამ ახსოვს ის ამბავი, რომელიც მოხდა,
თუ მხოლოდ მაშინ ახსენდება,
როცა ჩაივლი?



დროა, დავისაჯო მეც.
თუნდაც შენს გამო.
როგორ გაგაღვიძე.

შენ ცხოვრობდი სიზმარში.
სიზმარი იყო კოშმარული.
იქ ყველას კლავდნენ.
სიკვდილი გდევნიდა შენც.

და შენ გარბოდი,
გზას მიიკვლევდი მკვდრებში.
თავზე გენგრეოდა სამყარო.
მე კი გაგაღვიძე.

და შენ შეგაძრწუნა შეუჩვეველმა სიმშვიდემ,
დილის ოთახმა, თეთრმა კედლებმა, ჩემმა ღიმილმა.
ვერ დაიჯერე ცხადი, ველარც ძილი შეიბრუნე

და მოკვდი,

მოკვდი ისე სწრაფად,
საეჭვოა, რომ მოგესწრო ჩემი შეძულება.
ისე მოკვდი, ჯერაც გიყვარდი.

იყო სხვა ცოდვებიც. უფრო მძიმე. უფრო მსუბუქი.
მძიმეები, რომლებიც არ მახსოვს.
მსუბუქები, რომლებსაც ვმაღავ.

და ალბათ დროა, დავისაჯო მეც.
დროა, დავისაჯო მკაცრად.

დროა, გამაღვიძონ მეც.



არც ზღვა ღელავს, არც ნაპირი. შემოდგომაა.
ან გაზაფხული. ან ზამთარი. სანაპიროზე,
სადამდეც მზერა მიმინვდება, არავინაა.
არავინ ისვრის ბრტყელ კენჭებს წყალში.
არ ირწვევიან ქრელი ქოლგები.
არ უღერს მუსიკა.

არავინაა აქ ჩემს მეტი
და მეც, როგორც ჩანს, არ ვითვლები –
რადგან ლექსს ვწერ. საღამოვდება
და მზე უყურებს, როგორ ეშვება ნაპირი ზღვაში.



შენ იწევი საძინებლის კარისკენ ზურგით
და მე, კართან მდგარს, ვერ მხედავდი. შენ კითხულობდი,
მე კი ქენჯნა მახრჩობდა, დედი.

დედი, დახურე ჩემი წიგნი, გადადე სკამზე.
ლამპას გადაწვდი და ჩააქრე.
დაიძინე. არაფერზე იფიქრო, დედი.

არც აქ, დედი,
არც ამ წიგნში
არაფერი წერია შენზე.

და შენ დახურე ჩემი წიგნი, გადადე სკამზე.
ლამპას გადაწვდი და ჩააქრე. შემდეგ ბნელოდა
და ველარ მივხვდი, გეძინა თუ ფიქრობდი, დედი.

გამახსენდა, როგორ განვიცდიდი ადრე,
რომ ჩემი ლექსები არ გავდნენ ცხოვრებას.
გამეცინა საკუთარ თავზე.



ვინ მოთვლის, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში
უკვე რამდენჯერ ავარიდეთ ერთმანეთს თვალი,

ჩემო ძველო ახლობელო
(იმ წლებში – თითქმის მეგობარო),

მაგრამ ამჯერად გვიანია განზე გახედვა,
მითუმეტეს – გზის მეორე მხარეს გადასვლა,

ერთმანეთს ისე შევეფეთეთ, ისე პირისპირ,
ისლა გვრჩება, გადავეხვიოთ.

და ისლა გვრჩება, ახლა სადღაც გვეჩქარებოდეს,
ამ შაბათ-კვირას არ გვეცალოს

და იქნებ მერე... სწორიც ვიყავით,
როცა ერთმანეთს თვალს ვარიდებდით,

რადგან ისედაც ხომ ცხადია: ვერც შენ აღზევდი
იმდენად, ყოველ შემთხვევაში, როგორც მაშინ წარმოვიდგენდი,

და ისე არც მე დავცემულვარ, როგორც ალბათ იფიქრებდი
თხუთმეტი წლის წინ.

მე, უბრალოდ, შენზე მეტად გავქალარავდი.
სამაგიეროდ, შენ უფრო გასუქდი.

და ისლა გვრჩება, გავცვალოთ ნომრები
(სულერთია, ნამდვილი თუ გამოგონილი),

და ერთმანეთს დავემშვიდობოთ
მომავალ თვალის არიდებამდე

თბილისის ქუჩებში, ნებისმიერი ქალაქის ქუჩებში,
ჯოჯოხეთის ბნელ გვირაბებში.



ფული, პოეზია... მაგრამ არსებობენ ქვეყნად
სხვა, არანაკლები საშინელებები,
ვთქვათ, გეომეტრიულად უზადო ღრუბლები
და ვერტიკალური, შვეული ქარი,
რომელიც უბერავს ზემოდან ქვევით.
და ისეთი ქალებიც კი არსებობენ,
როგორებიც ბავშვობაში წარმოგედგინა –
რომ შეხედავ და გაიფიქრებ: „აქ დამელოდე,
ამ ცხოვრებას მივაცვილებ და დავბრუნდები“.
ის დღეც არსებობს, როცა ცაზე ვილაც მოდგება
და ერთიანად გაკრეფს ვარსკვლავებს,
თან გადმოგძახებს: „თავიდანვე ჩემი იყო“.
და ისეთი ლექსებიც კი არსებობენ,
თავისით რომ მთავრდებიან,
შენ ოღონდ დაიწყე.



ჩვენ აქ ვწვალობდეთ, ვბერდებოდეთ,
შენ კი იყო მუდამ უცვლელი
და მონყალე. ჩვენ არასდროს გვექონდეს უფლება
ექვი შევიტანოთ შენს მონყალებაში,
არსებობაზე – ლაპარაკიც ზედმეტია. სწორადაც იქცევი,
რომ ასე ადვილად არ გვითმობ ჩვენს თავს,

რომ გვახვენინებ ჩვენივე სხეულებს,
ჩვენს შიშველ და სასაცილო, მოუქნელ სხეულებს,
და არასოდეს გვიტოვებ დროს
ავიდეთ და მივალაგოთ ჩვენი საფლავები,
ფოთლები გავხვეტოთ,
მტვერი გადავწმინდოთ ქვიდან.

სწორადაც იქცევი.

ჩვენ ხომ ჩვენივე სიცოცხლეს კი არ მოგვენდობა,
სიკვდილი კი – მითუმეტეს; მაგრამ რა ვუყოთ სიზმრებს,
რომლებიც, გაუგებარია,
თავიდანვე რისთვის ჩაგვითქვი?
აქ კი, ჩვენს დროში, მათი ატანა შეუძლებელია,

ცხადიც გეყოფა, რომ დაგვცინო. სახლში ვბრუნდებოდი
და შორიდანვე დავინახე რუხი ბოლი,
ცისკენ აწვდილი,
და რაც უფრო მივუახლოვდი,
მოიმატა მითუფრო ეჭვმა,
რომ იქ

ჩემი სახლი იწვის. გამოღვიძებულმა,
ცივი ოფლით დანამული ბაგეებით
მადლობა გითხარი
და გულს, ჯერაც აჩქარებულს,
კიდევ ერთხელ შეუყვარდი,
რადგან მხოლოდ სიზმრით დამსაჯე.

ასე გამომტყუე რამდენი მადლობა. მაგრამ ეს – ბოლოა.
ესეც ბოლოა, როგორც გუშინ,
როგორც ყოველთვის.
როგორც გუშინნინ,
როცა ლიფტში პირჯვარს ვინერდი
დაბნეული – რომ მე მართლა პირჯვარს ვინერდი

და ბედნიერი – რომ ის ბიჭი დამხვდა ცოცხალი,
მე კი, ვიდრე მოვძებნიდი,
რა სიმწარე აღარ ვიფიქრე.
ის კი დამხვდა მხიარული, მთვრალი, ცოცხალი
და გამიღიმა. შიშველ ტანზე ეცვა ქურთუკი,
რადგან ჯემპრი და მაისური თურმე ჩხუბში შემოახიეს,

შემდეგ კი ლიფტში ვიდექი და პირჯვარს ვინერდი
და უეცრად გონს მოვეგე. მეც გამეცინა
და მომეჩვენა, შენც დამცინე. შენი არ ვიცი,
მე კი ჩემს ხელზე გამეცინა,
პირჯვრის წერისას გაშეშებულ ხელის მტევანზე
და იმაზეც, რომ ის ლიფტიც კი

ზემოდან ქვემოთ ეშვებოდა. ახლა მჭირდები,
რადგან ცხოვრება ბავშვობა და სიბერეა,
რადგან ყველაზე საზარელი მათ შორის გზაა,
რადგან მეც მიჭირს შუაგზაზე,

სადაც ამდენი საცდურია –
საქმეც გვინდა, სიყვარულიც, ძილიც, წუნუნიც,

შენ კი არ გინდა დაგვენახო. მეორდება ჩემი სიზმარი,
მერამდენედ მესიზმრება ჩემი თავი
ინვალიდის მოხდენილ ეტლში;
და თუმც არ მჯერა საკუთარი წინათგრძნობების,
თუმცა სიზმრები არასოდეს მიცხადდებოდნენ,
გამოღვიძებულს, ისევ შენკენ გამექცა ფიქრი,

რადგან, თუ სადმე მეჩვენები,
იქ მირჩევნია, იმ სიზმარში: სიზმრის მინურულს
მოულოდნელად რომ ჩაჭიდო ჩემი ეტლის სახელურს ხელი
და ვიდრე გონზე მოვეგები,
მიმაგორო მაღალ სარკესთან
და დაგინახო ჩემს ზურგსუკან ბინდბუნდში მდგომი,

დაგინახო და დაგიჯერო. თუკი სადმე, ისევ სიზმარში,
თან სიზმარში და თან სარკეში,
აღბათ იქ თუ დაგიჯერებდი,
მისვენებული ინვალიდის მოხდენილ ეტლში,
და არ მოგთხოვდი სხვა სასწაულს, ვთქვათ, განკურნებას;
ოღონდ თვითონაც ნუ დამაფრთხობ

და ნუ მომთხოვ ყველაფერს ერთად:
დღეს დამავალე, შევიყვარო მტერი ჩემი
და თანდათან გამირთულე მოთხოვნები. არ გამოვრიცხავ,
რომ ბოლოს გახდე ისე ცხადი და უეჭველი,
როგორც ცხადია, რომ ეს ლექსი – არ არის ლექსი,
და ის, რაც არის, აქ არ მთავრდება.